07/10/2024

MES 6 24 0001281193

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

დავით მალაზონია - შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის „თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმებისთვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.
მანანა ჯინჭარაძე - სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორთა ეროვნული სკოლის კონსულტანტი, საბჭოს მდივანი;
გიორგი გიგიბერია - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ პროგრამების მენეჯერი, საბჭოს წევრი;
ქეთევან ნატროშვილი - შპს „ქართული სასწავლებლის - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი;

პეტრე ბაბილუა - შპს „ევროპული სკოლის“ მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
მაკა მამფორია - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
მორის დანდურიშვილი - სსიპ-ქალაქ ხაშურის N1 საჯარო სკოლის დირექტორი, საბჭოს წევრი;
ნატო გაბოშვილი - სსიპ - ქალაქ თბილისი N169 საჯარო სკოლის დირექტორი, საბჭოს წევრი;
შალვა მეკრავიშვილი - სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქ. რუსთავის N2 საჯარო სკოლის ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებელი, სსიპ-მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის სამოქალაქო განათლების ექსპერტი, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

გვანცა ნინიძე- ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი
ნინო ცხოვრებაძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი
ნია გრიგალაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
ქეთი მუთიძე- ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

სსიპ - გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ მელაანის საჯარო სკოლა:
ნანი მთავრიშვილი- სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

სსიპ - მაკარ (იპოლიტე) ბურჭულაძის სახელობის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სამეგბის საჯარო სკოლა:
თამარი ბურჭულაძე- სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

სსიპ- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩხაკოურის საჯარო სკოლა:
ალექსანდრა მარი-სკოლის დირექტორი

სსიპ- ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ აბასთუმნის საჯარო სკოლა:
ქეთევან ობოლაშვილი - სკოლის დირექტორი

სსიპ- ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭობარეთის საჯარო სკოლა:
მაყვალა ჯვარიძე - სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

სსიპ- დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ არხილოსკალოს საჯარო სკოლა:
მაია სიმონიძე- სკოლის დირექტორი

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში ექსპერტები):

სსიპ - გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ მელაანის საჯარო სკოლა:

ა) მამუკა ხამხაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ნინო ბეგაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ია ვარდოსანიძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ინგა მოსიძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) მარინა თავართქილაძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ხათუნა კალმახელიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ანგელინა ეფრემიძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ია სეხნიაშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ნანა ცინცაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ედუარდ ნაკაიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ნინო მახარაშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - მაკარ (იპოლიტე) ბურჭულაძის სახელობის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სამების საჯარო სკოლა:

ა) თეა გაბელაია (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) იზაბელა იოსელიანი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ია ვარდოსანიძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) მირანდა თურმანიძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) თამთა პეტრიაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ქეთევან პარუნაშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) თინათინ ლაზარაშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) მარიამ ჯვარიძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ნანა ცინცაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) მარინა ანესაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ნინო მახარაშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩხაკოურის საჯარო სკოლა:

ა) რაინდი როდონაია (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) პაშა გულორდავა (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ქეთევან ბასილაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ეკა კობიაშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ზურაბ ურიადმყოფელი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) სოფიო გელაშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) თეონა ბერიკაშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) სოფიო ჯგერენაია (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) შორენა ნიკოლეიშვილი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ლია ნეფარიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ნინო ჭიჭინაძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ- ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ აბასთუმნის საჯარო სკოლა:

ა) ლენა გომართელი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ნესტან გიგაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ირმა ქურდაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ნინო კაპანაძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ინგა გელაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ლია ციცქიშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ლილი კაცაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ინგა დარსაველიძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ნატო გერგაია (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ლია ნეფარიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ნინო ჭიჭინაძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ- ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭობარეთის საჯარო სკოლა:

ა) ნინო შიუკაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) მაკა მახარობლიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) თამარ ბერიძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ქეთევან ლარცულიანი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) სალომე ზარქუა (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ხათუნა ნანობაშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ელიზა კუკავა (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ლია ცერცვაძე- ცუცქირიძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ნათია ორმოცაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) მიხეილ გაფრინდაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ნინო კოვზიაშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ- დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ არხილოსკალოს საჯარო სკოლა:

ა) მარიამ ხეთაგაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ავთანდილ კეჭაყმაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ნინო ბურჯალიანი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ეკა კობიაშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) დალი კერესელიძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ნანა კუნჭულია (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ხათუნა მარკოზაშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) გურამ ბურდილაძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ირინე შარაბიძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ლია ნეფარიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ვერა სომხიშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) მე-17 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია. საბჭოს სხდომა 2024 წლის 23 სექტემბერს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom - ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 16:00 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების მე-20 მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. სსიპ - გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ მელაანის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - მაკარ (იპოლიტე) ბურჭულაძის სახელობის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სამების საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩხაკოურის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ აბასთუმნის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭობარეთის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6. სსიპ - დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ არხილოსკალოს საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი და შესაბამისად, დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1. სსიპ - გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ მელაანის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს,

დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მამუკა ხამხამემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ მელაანის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 15 და 16 ივლისს. სკოლა მდებარეობდა გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ მელაანში და ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 190. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 190 მოსწავლისთვის.

ექსპერტმა, მამუკა ხამხამემ, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) და მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტი შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.

ექსპერტის თქმით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულების მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

ექსპერტმა წარმოადგინა დაწესებულების შენობის ამსახველი ფოტო-მასალა და აღნიშნა, რომ სკოლა აშენებული იყო 2011 წელს, შექმნილი იყო კეთილმოწყობილი გარემო, დაწესებულებას ჰქონდა შესაბამისი საგანმანათლებლო სერვისის მიწოდებისთვის საჭირო ყველა მატერიალური რესურსი, თუმცა იქვე აღნიშნა, რომ სკოლას არ ჰქონდა შიდა სპორტული დარბაზი, გარე სპორტული მოედანი კი სათანადოდ არ იყო აღჭურვილი და საჭიროებდა თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანას.

მისი თქმით, სკოლის ძლიერ მხარეს წარმოადგენდა განხორციელებული სხვადასხვა პროექტი.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლას არ ჰყავდა მანდატური და საზოგადოებრივ უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ პირად გამოყოფილი ჰყავდა თანამშრომელი (ბუღალტერი), რომელსაც გავლილი ჰქონდა შესაბამისი მომზადება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა, სკოლას მისცა რჩევა, ვებ-გვერდზე განეთავსებინათ შინაგანაწესი და სკოლის ინფრასტრუქტურის ამსახველი ფოტო-მასალა.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა სკოლის წარმომადგენელს, შეფასების სისტემასთან დაკავშირებით მეტი დეტალი წარმოედგინა საბჭოსთვის, კერძოდ, როგორ აწვდიდნენ ინფორმაციას მოსწავლეებს გასაუმჯობესებელი მხარეების შესახებ.

სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის, ნანი მთავრიშვილის, განმარტებით, მოსწავლეებსა და მშობლებს ინფორმაციას აწვდიდნენ ელექტრონული ფორმით.

საბჭოს წევრმა, მორის დანდურიშვილმა, აღნიშნა, რომ პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე პასუხისმგებელ პირად სკოლას განსაზღვრული ჰყავდა მანდატური და ვინაიდან

დაწესებულებაში არ იყო მანდატური, სკოლას მისცა რჩევა, გამოესწორებინა დოკუმენტაციაში აღნიშნული ხარვეზი, ასევე შესყიდვების გეგმის შედგენისას გაეთვალისწინებინა სასკოლო საზოგადოების საჭიროებები და მოსაზრებები.
სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა აღნიშნა, რომ გაითვალისწინებდა აღნიშნულ რჩევებს.
საბჭოს წევრი, მაკა მამფორია, დაინტერესდა, რა ვითარება იყო სკოლის სპორტულ დარბაზებთან დაკავშირებით.
სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის, ნინო მთავრიშვილის, განცხადებით, ადგილობრივი თვითმმართველობის ხელშეწყობისა და სპორტული ფედერაციის დახმარებით, სკოლას უკვე მოწესრიგებული ჰქონდა გარე სპორტული მოედანი, ასევე, შესყიდული ჰქონდათ სპორტული ინვენტარიც.
საბჭოს თავმჯდომარემ, მიმართა საზოგადოებრივი მეცნიერებების ექსპერტს, კურიკულუმებთან დაკავშირებული რჩევების შესახებ მეტი დეტალი გაეცნო საბჭოს წევრებისთვის.
საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტის, ინგა მოსიძის, განმარტებით, სკოლას ჰქონდა საგნობრივ სტანდარტებთან შესაბამისად შედგენილი კურიკულუმები, დიაგნოსტიკური ნაშრომები და შეფასების რუბრიკები. მან ასევე აღნიშნა, რომ მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოვლინდა მათი პროფესიონალიზმის მაღალი დონე და აქტიური მუშაობა კურიკულუმების შემუშავების პროცესში.
სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის, ნინო მთავრიშვილის, განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან გაცემულ რჩევებზე სკოლას დაწყებული ჰქონდა აქტიური მუშაობა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ მელაანის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 190 - ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 16:38
დასრულების დრო: 16:43

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის

პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 27 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ მელაანის საჯარო სკოლას (ს/კ: 227730649) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 190-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფელი მელაანი
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფელი მელაანი
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფელი მელაანი

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

- **მონიტორინგი ცენტრის მხრიდან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების განხილვით**

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა 2025 წლის სექტემბერში 1.2, 2.2, 3.4 და 3.5 კომპონენტებთან მიმართებით, ერთწლიანი სამოქმედო და შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმების, შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის, მეორე სართულთან დამაკავშირებელი ადაპტირებული გარემოს მოწყობის, ღია სპორტული მოედნის კეთილმოწყობისა და შიდა სპორტული დარბაზის მოწყობის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

2. სსიპ - მაკარ (იპოლიტე) ბურჭულაძის სახელობის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სამების საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, თეა გაბელაიამ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - მაკარ (იპოლიტე) ბურჭულაძის სახელობის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სამების საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 25 და 26 ივლისს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი და საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 100. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას არ ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულების რესურსის გათვალისწინებით, შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 85 მოსწავლისთვის.

ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო გამოცდილების შესახებ და აღნიშნა, რომ სასკოლო ცხოვრებაში აქტიურად იყო ჩართული თითოეული მშობელი და მათი ინტერესების გათვალისწინებით ხდებოდა სასკოლო პროექტების/ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება. მისი თქმით, სკოლაში ჩამოყალიბებული იყო ეკოკლუბი „აირისი“, რომელშიც აქტიურად იყო ჩართული სასკოლო საზოგადოება და სასკოლო თემი. სკოლაში განხორციელებული პროექტები ემსახურებოდა გარემოს დაცვასა და დაბინძურებისაგან თავის არიდების საკითხებს. დადგმული იყო მაკულატურისა და პოლიეთილენის ბოთლების შეგროვებისათვის შესაბამისი მოწყობილობა, სისუფთავის დაცვისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშესაწყობად.

ექსპერტმა, თეა გაბელაიამ, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი და საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) და მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტი შეფასდა, როგორც შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.

ექსპერტის თქმით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულების მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

ექსპერტმა წარმოადგინა დაწესებულების შენობის ამსახველი ფოტო-მასალა და აღნიშნა, რომ სკოლას ჰქონდა კეთილმოწყობილი ეზო და ადაპტირებული გარემო. მისი თქმით, სკოლაში იყო საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია, რომელიც არ იყო შესაბამისი რესურსებით აღჭურვილი. ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ სკოლას არ ჰქონდა შიდა სპორტული დარბაზი, თუმცა სპორტის საგაკვეთილო პროცესის ჩასატარებლად იყენებდნენ სკოლაში არსებულ თავისუფალ სივრცეს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრმა, ნატო გაბოშვილმა, მიმართა მათემატიკის საგნობრივ ექსპერტს, კურიკულუმებთან დაკავშირებით მეტი დეტალი წარმოედგინა საბჭოსთვის.

მათემატიკის საგნობრივი ექსპერტის, ნანა ცინცაძის, განმარტებით, კურიკულუმებთან დაკავშირებით ექსპერტებმა გასცეს მრავალი რჩევა, ვინაიდან იკვეთებოდა გარკვეული უზუსტობები, თუმცა აქვე დასძინა, რომ მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა

მათი მზაობა და სურვილი მეტად დაეხვეწათ და განევითარებინათ საგნობრივი კურიკულუმები და კომპლექსურ დავალებებთან დაკავშირებული საკითხები.
საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა, სკოლის წარმომადგენელს მისცა რჩევა, მე-7 კლასის (საგანი მოქალაქეობა) კურიკულუმებისთვის გადაეხედა, ვინაიდან დოკუმენტაციაში ფიქსირდებოდა არარსებული სახელმძღვანელო, ასევე, დაეხვეწათ სკოლის მისია და ხედვა და განეთავსებინა ვებ-გვერდზე.
საბჭოს წევრმა, ასევე რჩევის სახით განაცხადა, რომ სკოლას შინაგანაწესი და საკლასო ოთახების ფოტო-სურათები თვალსაჩინოებისთვის განეთავსებინა დაწესებულების ვებ-გვერდზე
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, თამარ მამსიკაშვილი, დაინტერესდა, რა ეტაპზე იყო სკოლის სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დასკვნის საკითხი და ჰქონდა თუ არა სკოლას შესაბამისი მატერიალური და ტექნიკური რესურსი, რომ 100 მოსწავლისთვის გაეწია საგანმანათლებლო მომსახურება.
სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის, თამარ ბურჭულაძის, განმარტებით, სახანძრო უსაფრთხოების დასკვნა და საგანგებო სიტუაციების მართვის შესახებ დოკუმენტაცია მოპოვებული ჰქონდა შესაბამისი პასუხისმგებელი ორგანოსგან. რაც შეეხებოდა მატერიალურ-ტექნიკურ რესურსს, სკოლას გაგზავნილი ჰქონდა მოთხოვნა შესაბამისი სამსახურისათვის და უახლოეს მომავალში ექნებოდა მატერიალური რესურსი 100 მოსწავლისთვის საგანმანათლებლო მომსახურების გასაწევად.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - მაკარ (იპოლიტე) ბურჭულაძის სახელობის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სამების საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 100 - ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 17:05
დასრულების დრო: 17:11

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 27 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - მაკარ (იპოლიტე) ბურჭულაძის სახელობის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სამების საჯარო სკოლას (ს/კ: 242007528) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 100 - ით.

დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი სამება
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი სამება

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

- **მონიტორინგი ცენტრის მხრიდან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების განხილვით**

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა 2025 წლის სექტემბერში 1.2, 3,4, 3.6 და 2.1 (დაწყებითი და საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) კომპონენტებთან მიმართებით, ერთწლიანი და შვიდწლიანი სამოქმედო გეგმების, სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობების, შესრულების გაზომვადი ინდიკატორების, , პასუხისმგებელი პირების/სტრუქტურული ერთეულებისა და შესაბამისი რესურსების განსაზღვრის მტკიცებულებების, ასევე, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის, ტექნიკური მდგრადობის და ექსპლუატაციაში შესვლის, ექთნის აყვანის, ასევე,"სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში" და "კომპიუტერულ ტექნოლოგიებში" (დაწყებითი და დაბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) კურიკულუმების კორექტირების დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

3. სსიპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩხაკოურის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა

დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, რაინდი როდონაიამ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩხაკოურის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 30 და 31 ივლისს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 60. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 60 მოსწავლისთვის.
ექსპერტმა, რაინდი როდონაიამ, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) და მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით.
ექსპერტის თქმით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულების მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომელებიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
ექსპერტმა წარმოადგინა დაწესებულების შენობის ამსახველი ფოტო-მასალა და აღნიშნა, რომ სკოლა აშენებული იყო 2022 წელს, ჰქონდა კეთილმოწყობილი გარემო, პანდუსი და ლიფტი, თუმცა საკლასო ოთახების რაოდენობა იყო მცირე და ამ მიზეზით არ ჰქონდა რესურს-ოთახი, ასევე, ერთ ოთახში იყო მოწყობილი კომპიუტერული მეცნიერებების ლაბორატორია და ბიბლიოთეკა. ექსპერტის განმარტებით, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია არ იყო აღჭურვილი საჭირო რესურსებით.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა, დაწესებულების წარმომადგენელს მისცა რჩევა, ვებ-გვერდზე გამოექვეყნებინა ინფორმაცია სკოლის ღირებულებების შესახებ. მან აღნიშნა, რომ მისია და ხედვა საჭიროებდა გადახედვას, ასევე, აუცილებლად გაეთვალისწინებინათ ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რჩევები.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩხაკოურის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 60 - ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 17:25
დასრულების დრო: 17:30

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 27 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩხაკოურის საჯარო სკოლას (ს/კ: 242007564) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 60- ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი ჩხაკოური
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი ჩხაკოური
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი ჩხაკოური

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

- **მონიტორინგი ცენტრის მხრიდან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების განხილვით**

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა 2025 წლის სექტემბერში 3.4; 2.1 (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) და 2.2 (დაწყებითი და საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) კომპონენტებთან მიმართებით, შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის, შეფასების რუბრიკის შემუშავების, საგნობრივი კურიკულუმების კორექტირების, ხელოვნების მასწავლებლის შერჩევის და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის აღჭურვის

დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

4. სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ აბასთუმნის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ლენა გომართელმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ აბასთუმნის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 18 და 19 ივლისს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 120. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 120 მოსწავლისთვის.

ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო გამოცდილების შესახებ და აღნიშნა, რომ დაწესებულება აქტიურად ახორციელებდა სხვადასხვა პროექტსა და ღონისძიებას, 2011 წლიდან დღემდე სოფელ აბასთუმნის საჯარო სკოლა ჩართული იყო „სოციალური ინკლუზიის ხელშეწყობის ქვეპროგრამაში, USAID სამოქალაქო განათლებისა და USAID საბაზისო განათლების პროგრამებში. სკოლაში ფუნქციონირებდა წიგნიერების კლუბი.

ექსპერტმა, ლენა გომართელმა, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო და მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტი შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით.

ექსპერტის თქმით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულების მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომელებიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულებაში შექმნილი იყო კეთილმოწყობილი და ადაპტირებული გარემო.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, თამარ მამსიკაშვილი, დაინტერესდა, ჰყავდა თუ არა სკოლას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე და ასევე, ჰქონდა თუ არა რესურს-ოთახი.
ექსპერტის, ლენა გომართელის, განმარტებით, სკოლას ჰქონდა ყველა საჭირო ინვენტარით აღჭურვილი რესურს-ოთახი, მისი თქმით, მოსწავლეთა ბაზაში ფიქსირდებოდა რამდენიმე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე, თუმცა, დაწესებულებამ ვიზიტის დროს წარმოადგინა წერილი, აღნიშნული მოსწავლეების მობილობის შესახებ.
საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტის, ირმა ქურდაძის, განცხადებით, სკოლას შედგენილი ჰქონდა ინდივიდუალური სამუშაო გეგმები და ასევე, აქტიურად იყო ჩართული STEM მიმართულების პროგრამებში.
საბჭოს წევრი, ნატო გაბოშვილი, დაინტერესდა, რა ვითარება იყო სკოლაში სამედიცინო პერსონალის აყვანასთან დაკავშირებით.
სკოლის დირექტორის, ქეთევან ობოლაშვილის, განმარტებით, ვინაიდან დაწესებულება მცირეკონტიგენტიანი იყო, სკოლას განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან შეთანხმებული ჰქონდა ექთნის შტატი, რომელიც აყვანილი ჰყავდა დაწესებულებას.
საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა, სკოლას მისცა რჩევა, ვებ-გვერდზე განეთავსებინათ დაწესებულების შენობის ამსახველი ფოტო-მასალა და შინაგანაწესი.
სკოლის დირექტორის განმარტებით, დაწესებულებას დაწყებული ჰქონდა მუშაობა აღნიშნული მიმართულებით და აუცილებლად გაითვალისწინებდნენ, როგორც ექსპერტთა ჯგუფის, ასევე საბჭოს წევრების რჩევებსა და რეკომენდაციებს. რაც შეეხებოდა ლაბორატორიის აღჭურვას, სკოლას შეძენილი ჰქონდა შესაბამისი რესურსები. მისი განმარტებით, სკოლას ჰქონდა ინკლუზიური განათლების მიმართულებით მრავალწლიანი გამოცდილება.
საბჭოს წევრი, მორის დანდურიშვილი დაინტერესდა, ჰყავდა თუ არა სკოლას ყველა საგნის მასწავლებელი.
სკოლის დირექტორმა, ქეთევან ობოლაშვილმა, განმარტა, რომ დაწესებულებას არ ჰყავდა ხელოვნების მასწავლებელი და აღნიშნულს ითავსებდა მუსიკის მასწავლებელი. მისი თქმით, ხელოვნების მასწავლებლის ვაკანსია გამოცხადებული ჰქონდა, თუმცა მსურველი არ გამოჩდნა.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, სკოლას მისცა რჩევა, ხელოვნების მასწავლებლის ვაკანსია განთავსებული ჰქონოდა მანამ, სანამ არ აიყვანდნენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პედაგოგს.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ აბასთუმნის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 120 - ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 17:50
დასრულების დრო: 17:55

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 27 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ აბასთუმნის საჯარო სკოლას (ს/კ: 222720116) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 120- ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ადიგენის მუნიციპალიტეტი, სოფელი აბასთუმანი
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ადიგენის მუნიციპალიტეტი, სოფელი აბასთუმანი
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ადიგენის მუნიციპალიტეტი, სოფელი აბასთუმანი

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

- **მონიტორინგი ცენტრის მხრიდან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების განხილვით**

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა 2025 წლის სექტემბერში 3.4 კომპონენტთან მიმართებით, ექიმის/ექთნის აყვანის დამადასტურებელი მტკიცებულების წარმოდგენა სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

5. სსიპ - ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭობარეთის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ნინო შიუკაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭობარეთის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 18 და 19 ივლისს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 70. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 70 მოსწავლისთვის.

ექსპერტმა, ნინო შიუკაშვილმა, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტი შეფასდა“ ნაწილობრივი შესაბამისობით“.

ექსპერტის თქმით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულების მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომელებიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო გამოცდილებაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულება დიდ ყურადღებას აქცევდა საქმისწარმოებას და ჰქონდა მოწესრიგებული დოკუმენტაცია. მისი განმარტებით, სკოლაში შექმნილი იყო კეთილმოწყობილი გარემო, თუმცა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია საჭიროებდა რესურსების განახლებას. ექსპერტის განმარტებით, დაწესებულებას არ ჰქონდა შიდა და გარე სპორტული მოედანი, თუმცა სარგებლობდნენ მუნიციპალიტეტის მფლობელობაში არსებული გარე სპორტული მოედნით, უამინდობის შემთხვევაში კი, სპორტის გაკვეთილები ტარდებოდა შენობაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა, სკოლას მისცა რჩევა სკოლის ვებ-გვერდზე განეთავსებინათ სტრატეგიული და წლიური სამოქმედო გეგმები, ინფორმაცია ფინანსური მდგომარეობის შესახებ და ასევე, სკოლის ინფრასტრუქტურის ამსახველი ფოტო-მასალა. საბჭოს წევრმა, ასევე, მიმართა ექსპერტებს, მათი შეფასებით, როგორი ვითარება იყო მუსიკის, ხელოვნებისა და სამოქალაქო განათლების სავალდებულო პროექტებთან დაკავშირებით.

ესთეტიკური აღზრდის ექსპერტის, ხათუნა ნანობაშვილის, განმარტებით, დოკუმენტურად სრულად არ იყო ასახული პროექტული სწავლების შესახებ ინფორმაცია, თუმცა, მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა მათი აქტიური ჩართულობა ამ მიმართულებებით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭობარეთის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 70 - ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 18:10
დასრულების დრო: 18:17

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 27 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭობარეთის საჯარო სკოლას (ს/კ: 223104398) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 70- ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ასპინძის მუნიციპალიტეტი, სოფელი ჭობარეთი
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ასპინძის მუნიციპალიტეტი, სოფელი ჭობარეთი
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის	საშუალო	ქართული	ასპინძის მუნიციპალიტეტი, სოფელი ჭობარეთი

	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა			

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

- **მონიტორინგი ექსპერტთა ჯგუფის შექმნით:**

მონიტორინგის დაწყების პერიოდი - 2026 წლის სექტემბრიდან; **მონიტორინგის განხორციელების ფორმა** - ექსპერტთა ჯგუფის მიერ დოკუმენტების შესწავლა; **მონიტორინგის ფარგლები:** მე-2 (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) სტანდარტი.

- **მონიტორინგი ცენტრის მხრიდან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების განხილვით**

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა 2026 წლის სექტემბერში 3.4 და 3.5 კომპონენტებთან მიმართებით, შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნისა და რესურსოთახის მოწყობის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

6. სსიპ - დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ არხილოსკალოს საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მარიამ ხეთაგაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ არხილოსკალოს საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 25 და 26 ივლისს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 170. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 170 მოსწავლისთვის.
ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო გამოცდილების შესახებ და აღნიშნა, რომ დაწესებულებას მემორანდუმი ჰქონდა გაფორმებული კოლეჯ „აისთან“, პროფესიული უნარების სააგენტოსთან და აქტიურად თანამშრომლობდნენ მათთან. ასევე, მისი თქმით, საშუალო საფეხურის მოსწავლეები გადიოდნენ მოკლევადიან სასერთიფიკატო კურსებს

ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულებით და სწორედ ამ მიზნით, სკოლას ჰქონდა კომპიუტერული ლაბორატორიის ორი ოთახი. ექსპერტის განმარტებით, დაწესებულებას ეზოში ჰქონდა მცირე ზომის სათბური.
ექსპერტმა, მარიამ ხეთაგაშვილმა, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) სტანდარტი შეფასდა „მეტწილი შესაბამისობით“, ხოლო მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტი შეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.
ექსპერტის თქმით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულების მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომელებიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
ექსპერტმა წარმოადგინა სკოლის შენობის ამსახველი ფოტო-მასალა და აღნიშნა, რომ დაწესებულება საჭიროებდა სარემონტო სამუშაოებს და ამ მიზნით სკოლის დირექტორს მიმართული ჰქონდა შესაბამისი პასუხისმგებელი ორგანოსთვის. ექსპერტის თქმით, დაწესებულებაში იყო ბიბლიოთეკა, კომპიუტერული მეცნიერებების ორი ლაბორატორია, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია, გარე და შიდა სპორტული მოედანი, ყველა საჭირო ინვენტარით აღჭურვილი რესურსოთახი და ექიმის ოთახი.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, სკოლას მისცა რჩევა, გადაეხედათ შეფასების რუბრიკებისთვის და მეტად დაეხვეწათ აღნიშნული. ასევე, მიმართა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ექსპერტს, მეტი დეტალი წარმოედგინა საბჭოსთვის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნების სწავლებასთან დაკავშირებით. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ექსპერტის, ნინო ბურჯალიანის, განმარტებით, სკოლაში არსებული მატერიალური რესურსი სრულად იძლეოდა იმის შესაძლებლობას, რომ დაწესებულებას შეუფერხებლად წარემართა სასწავლო პროცესი.
საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა, სკოლის წარმომადგენელს მისცა რჩევა, დაწესებულების ვებ-გვერდზე ატვირთული ბიუჯეტი ჩაესწორებინა, ვინაიდან არსებულს ჰქონდა ხარვეზი და არ იკითხებოდა ინფორმაცია, ასევე, განეთავსებინა სკოლის ინფრასტრუქტურის ამსახველი ფოტო-მასალა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ არხილოსკალოს საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 170 - ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 18:30
დასრულების დრო: 18:34

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 27 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ არხილოსკალოს საჯარო სკოლას (ს/კ: 228537508) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 170- ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი სოფელი არხილოსკალო
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი სოფელი არხილოსკალო
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი სოფელი არხილოსკალო

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

- **მონიტორინგი ექსპერტთა ჯგუფის შექმნით:**

მონიტორინგის დაწყების პერიოდი - 2026 წლის სექტემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა - ადგილზე ვიზიტი;
მონიტორინგის ფარგლები: მე-2 (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) და მე-3 სტანდარტები.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომ, 18:40 საათზე საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
მალაზონია დავით

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჯინჭარაძე მანანა